



12.12.2013

"ფრთხილი სიჩქარით" სატყეო რეფორმისკენ

ახალი ამბები



ეკა მაღალაძე

შეუერთდი განხილვას

საქართველოს პარლამენტმა **84** ხმით არცერთის წინააღმდეგ მიიღო დადგენილება „საქართველოს სატყეო პოლიტიკის“ დოკუმენტის დამტკიცების შესახებ. სატყეო პოლიტიკის საკანონმდებლო დონეზე მიღებას დიდ წარმატებად მიიჩნევენ გარემოს დაცვის სამინისტროს, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

“ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიჩქაროთ” - განაცხადა ეროვნული სატყეო სააგენტოს თავმჯდომარემ ბიძინა გიორგობიანმა გუშინ ეროვნული სატყეო პროგრამის პლენარული სხდომაზე. გამართულ შეხვედრაზე ეროვნული სატყეო პოლიტიკის მნიშვნელობაზე, მასზე დაფუძნებული სატყეო პროგრამის მიზნებსა და განხორციელების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

გარემოს დაცვის სამინისტროში შემუშავებული სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი უკვე პარლამენტის მიერაა დამტკიცებული. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი

ირაკლი მაჭარაშვილი ამბობს, რომ ეს საქართველოს რეალობაში პირველად მოხდა და პოლიტიკის დოკუმენტის ამგვარი ლეგიტიმაცია ბევრი ხანგრძლივი პრობლემის მოგვარების დასაწყისი იქნება.

„წლების განმავლობაში გარემოსდამცველებისა და სამთავრობო სტრუქტურების კონფლიქტი სწორედ იმას ეფუძნებოდა, რომ სატყეო სექტორში გადაწყვეტილებები პოლიტიკის გარეშე მიიღებოდა. ამ სფეროს განვითარების სტრატეგია ხშირად სატყეო დეპარტამენტის უფროსის ცვლილებასთან ერთად, კონკრეტული პიროვნებების პირადი ხედვის მიხედვით იცვლებოდა. ამან კი კარგად ვხედავთ, რა მდგომარეობამდეც მიიყვანა საქართველოს ტყეები“, - ამბობს ირაკლი მაჭარაშვილი.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე ამბობს, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა და ინსტიტუციური მოწყობა ტყეების მდგრად მართვას ვერ უზრუნველყოფს. ვერ ხერხდება ტყეების სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური ფუნქციების დაბალანსება.

„გარდა იმისა, რომ დავიწყეთ გარკვეული ღონისძიებების გატარება, ტყეების ინვენტარიზაცია, დაავადებებთან ბრძოლა, აუცილებელია არსებობდეს გრძელვადიანი სტრატეგია და ხედვა, საით მიდის ეს სექტორი, როგორ უნდა გატარდეს რეფორმა, რომ ტყეების მართვა გულისხმობდეს მათ გამოყენებასა და მათ დაცვას“, - ამბობს გოგალაძე.

ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელი ბიძინა გიორგობიანი კი ამბობს, რომ პოლიტიკის დოკუმენტი მხოლოდ პრინციპებს განსაზღვრავს და მის დამტკიცებას მთელი რიგი ცვლილებები უნდა მოჰყვეს. პირველ ყოვლისა კი, ეროვნული სატყეო პროგრამა.

დაახლოებით 2 თვის წინ სამინისტროში 7 სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. ჯგუფები სატყეო პროგრამის სხვადასხვა ნაწილზე მუშაობენ და თებერვლისთვის სამუშაო გეგმასაც შეიმუშავებენ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პროგრამის ესა თუ ის ნაწილი. საბოლოოდ მუშაობის დასრულებას სამინისტროში 2 წლის შემდეგ გეგმავენ, თუმცა გოგალაძე ამბობს, რომ ყველა ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულებას არ დაელოდებიან, როგორც კი კონკრეტული მიმართულებით პროგრამაზე მუშაობა დასრულდება, მის განხორციელებას შეუდგებიან.

ტყის დაცვა-აღდგენა, ტყის ეკონომიკური შეფასება,

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, სატყეო განათლება, საკანონმდებლო და ინსტიტუციური საკითხები, ტყის მონიტორინგი და საინფორმაციო სისტემები, მდგრადი სატყეო მენეჯმენტის სტანდარტები - ამ მიმართულებებით თითო სამუშაო ჯგუფია შექმნილი.

ტყის დაცვა-აღდგენის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი ტყის გაშენებისა და ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიდგომების ჩამოყალიბებისა და განხორციელების შესახებ მსჯელობს. იგულისხმება სანერგეების მოწყობა, გაშენებას, მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლა, ტყის ხანძრების შედეგებზე ზრუნვა, პლანტაციების გაშენება და ქარსაფარი ზოლების საკითხის დარეგულირება.

ტყის ეკოსისტემის ეკონომიკური შეფასება - ტყის მერქნული და არამერქნული რესურსის, შეშის, სატყეო ტურიზმი, სატყეო ინდუსტრია და ტყის სხვა ირიბი ღირებულების შეფასების საკითხს მოიცავს.

მესამე სამუშაო ჯგუფი ორად გაიყო. ერთი სატყეო განათლების ხელშეწყობას, ამ სფეროში დასაქმებულთა გადამზადებას და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობას გულისხმობს. მეორე ჯგუფის მიზანი კი გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, ტყისდაცვით ღონისძიებებში ჩართულობის გაძლიერება და სატყეო სექტორის მიმართ წლების წინ გაჩენილი ნეგატიური ფონის დაძლევაა.

მეხუთე ჯგუფი ტყის ინვენტარიზაციისა და მონიტორინგის სისტემების ჩამოყალიბებას, კატეგორიზაცია-ზონირების საკითხებს, ტყის ფონდის საზღვრების დადგენასა და მონაცემთა ბაზის შექმნას მოიცავს.

კიდევ ერთი ჯგუფი ტყის მდგრადი მართვის სტანდარტებზე მუშაობს. იგეგმება კრიტერიუმებისა და მართვის სახელმძღვანელოების შემუშავება კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ტყის მრავალმხრივი გამოყენების საკითხების გათვალისწინებით. ასევე გრძელვადიანი სატყეო ლიცენზირების პირობების ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შეფასება.

საკანონმდებლო და ინსტიტუციურ საკითხებზე ცალკე ჯგუფი მუშაობს, ჯგუფის მიზანი ახალი ტყის კოდექსის მომზადება, მასთან დაკავშირებული ჩარჩო ცვლილებების იდენტიფიცირება და მეორე მხრივ, ინსტიტუციური მოწყობის საკითხების დარეგულირებაა. ბიძინა გიორგობიანი ამბობს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ამ ჯგუფის მიერ მომზადებულ დოკუმენტს ექნება, რადგან ეს უნდა გახდეს ყველა სხვა საკითხის მოწესრიგების საფუძველი.

სატყეო პოლიტიკის სამსახურის გადაწყვეტილებით, საკითხის სპეციფიკურობის გამო, ტყისა და ჰიდროელექტროსადგურების დამოკიდებულების განსასაზღვრად კიდევ ერთი ჯგუფი შეიქმნება. სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, კარლო ამირგულაშვილის თქმით, ამ ეტაპზე სამუშაო ჯგუფებში სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, საპატრიარქოდან, კერძო სექტორიდან და დონორი ორგანიზაციებიდან სულ **80-მდე** ექსპერტია ჩართული.

ეროვნული სატყეო პროგრამის ექსპერტი კლაუს-მაიკლ ფაკენბერგი ამბობს, რომ დოკუმენტზე მუშაობისას აუცილებელია მუდმივი ფიქრი მის რეალურ განხორციელებაზე.

„ნუ შეხედავთ ეროვნულ სატყეო პროგრამას, როგორც ყოველდღიური პრობლემების მოგვარების ინსტრუმენტს. ეს პროგრამა გულისხმობს ექსპერტთა თავმოყრას, მონაწილეობითი მიდგომის უზრუნველყოფას რათა მიიღოთ პასუხები კითხვებს, როგორი უნდა იყოს ტყეების მფლობელობის საკითხი, რა დაგიჯდებათ ცვლილებები და მრავალი სხვა. მნიშვნელოვანია, რომ ერთი რომელიმე ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულებისთანავე დაიწყოს პროგრამის კონკრეტული ნაწილის განხორციელება“, - ამბობს ფაკენბერგი.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli ([Change](#))

[Comment](#)

Facebook social plugin

